პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 იანვარი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 5 (9666) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქართული სპორტის მატიანე

1965 წლის 4 ივლისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომელიც ძნელი და მომქანცველი ტურნეს უკანასკნელ შეხვედრას ატარებდა, მოსკოვში სტოკჰოლმიდან ჩამოფრინდა და მთელი შემადგენლობით აეროპორტიდან პირდაპირ სტადიონისკენ გაეშურა. აქ შედგა პირველი იმპროვიზებული პრესკონფერენცია ჟურნალისტებსა და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს სილვიო პაჩეკოს შორის.

სტუმარმა ბევრი საინტერესო რამ უამბო ჟურნალისტებს ბრაზილიის ნაკრებზე, მის წამყვან ფეხბურთელებზე, განსაკუთრებით პელესა და გარინჩაზე, მერე კი ბოლო შეკითხვას, ვის იცნობთ საბჭოთა ფეხბურთელთაგან ყველაზე უკეთ ასე უპასუხა:

— იაშინს, რომელიც ყველა დროის საუკეთესო მეკარედ მიმაჩნია, რომელიც პირველ რიგში ნამდვილი სპორტსმენია და ჯენტლმენი.

მაშინ ბრაზილიელები ცხადია, საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებს კარგად არ იცნობდნენ, თუმცა მესხისა და მეტრეველის შესახებ ბევრი რამ ჰქონდათ გაგებული. დღეს ამ მატჩის პერიპეტიებს არ შეგახსენებთ, მაგრამ გუნდების შემადგენლობას ყოველი შემთხვევისთვის მაინც გაგაცნობთ:

ბრაზილიელებმა მოსკოვში გამოიყვანეს: მანგა, ჯ. სანტოსი, ბელინი (დიტარ), ორლანდო, რილდო, დუდუ (დიასი), ჟერსონი, ჟაირი (გარინჩა), ფლავიო, პელე, პარანა. საბჭოთა მწვრთნელმა ნიკოლოზ მოროზოვმა თავისი გუნდი ასე დააკომპლექტა: ბანიკოვი (კავაზაშვილი), პონომარიოვი, ვორონინი, რიაბოვი, დანილოვი, - გ. სიჭინავა, ჰუსაინოვი (ლოგოფეტი), მეტრეველი, ივანოვი (ბანიშევსკი), ბარქაია (ბიბა), მესხი. შეხვედრა, გახსოვთ ალბათ, ბრაზილიელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0...

ეს ფოტოსურათი, სადაც პელე ქართველ ფეხბურთელთა გარემოცვაშია ალბეჭდილი, მატჩის დამთავრების შემდეგ „ლელოს“ მაშინდელმა ფოტოკორესპონდენტმა მიხეილ ზარგარიანმა გადაიღო. პელე პრესკონფერენციაზე განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ნაკრების მოთამაშეებს: გ. სიჭინავას, ს. მეტრეველსა, მ. მესხს. როცა ქართველმა ფეხბურთელებმა თამაშის დამთავრების შემდეგ ბრაზილიელს თხოვეს — ერთად გადაეღოთ სურათი, პელე სიამოვნებით დათანხმდა გაჩერებულიყო ფოტოობიექტივის წინ.

სურათზე: მარცხნიდან — გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ასლოგადება ჰადრაკში მსოფლიო პირველობისათვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი



მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის

დიდი დრო აღარ დარჩა პრეტენდენტ ქალთა ტურნირის დაწყებამდე. ჩვენი მშვენიერი საკურორტო ქალაქი წყალტუბო ახლა დიდ სამზადისშია — ქალაქის ხელმძღვანელობას, საზოგადოებრიობას სურთ ყველაფერი წესრიგში, მაღალ დონეზე დაახვედრონ თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკე ქალებს. — ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, ელენა ახმილოვსკაიას, ქეთევან არახამიას, ირინა ლევიტინას, მარტა ლიტინსკაიასა და აგნეშკა ბრუსტმანს. თუ როგორ ემზადებიან წყალტუბოელები ამ დიდი შეჯიბრებისთვის, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ, დღეს კი მხოლოდ მცირე ინფორმაციას მოგაწვდით, თუ სად ემზადებიან ჩვენი თანამემამულეები ამ სპრესტიჟო ტურნირისთვის.

დღეს ნონა გაფრინდაშვილი ლიკანს გაემგზავრა, სადაც ორკვირიან შეკრებას გაივლის თავის მწვრთნელებთან ერთად. ნანა ალექსანდრია მოსკოვთან ახლოს, ქალაქ პოდოლსკში ემზადება, ქეთევან არახამია თავის მშობლიურ ოჩამჩირეშია. რაც შეეხება ნანა იოსელიანსა და ელენა ახმილოვსკაიას, სრული და დროული აკლიმატიზაციისთვის ისინი უკვე ეწვივნენ წყალტუბოს.

პროფკავშირების სპორტულ ორგანიზაციებში

ნაკლოვანებები ამხილეს, ახლა მთავარია საქმე

143 დელეგატი დაესწრო პროფკავშირების ნფსს მახარაძის რაისაბჭოს კონფერენციას. რაიონის სპორტის მესვეურებმა, ადგილობრივი ხელმძღვანელების მხარდაჭერით, ყველაფერი იღონეს, რომ კონფერენცია მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარე რ. მუჯირი.

1988 წელს, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, მწყობრში ჩადგება მაღაროთა სამმართველოს სპორტული დარბაზი, მიმდინარეობს ცენტრალური სტადიონის სპორტდარბაზის რეკონსტრუქცია, დაიწყო საჟიდაო დარბაზის და საცურაო აუზის მშენებლობა. მალე გაიხსნება იპოდრომი, სადაც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის შექმნაა გათვალისწინებული.

კამათში გამოსული დელეგატების უმრავლესობამ აღნიშნა რაიონში სპორტული ბაზების ნაკლებობა, ამავე დროს ითქვა, რომ ამ პრობლემის გადაჭრისათვის ბევრი არაფერი გაკეთებულა საკავშირო კონკურს-დათვალიერების პერიოდში. არადა, ეს ღონისძიება ჩატარდა დევიზით: „არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!“. მეტწილ სპორტულ დარბაზებში არ არის გათბობა და ცხელი წყალი. გამოითქვა საყვედური, რომ მახარაძის რაიონში არ რჩება სპორტული ლოტოს შემოსავალი. კიდევ ერთხელ ითქვა ისიც, რომ რესპუბლიკაში ამ ერთ-ერთი ეკონომიკურად ძლიერი და მოსახლეობის რაოდენობით წამყვანი რაიონი განსაკუთრებით საცურაო აუზების ნაკლებობას განიცდის.

კვების მრეწველობის ტექნიკუმს, რომელიც 52 წლის წინათ აშენდა, არათუ სპორტული დარბაზი, ახლა ღია მოედნებიც არა აქვს. ტექნიკუმს ჰქონდა ფრენბურთის მოედანი, მაგრამ... გაუქმდა.

კონფერენციამ საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ რ. მუჯირი აირჩია.

ვალერიან შავიშვილი.



შემთხვევითი არ არის, რომ დიდი შეჯიბრებები სწორედ იქ იგეგმება და ტარდება, სადაც სპორტის ამა თუ იმ სახეობას განსაკუთრებით პატივს სცემენ და გამორჩეული ოსტატები ჰყავთ. დღეს თბილისში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულ კომპლექსში (გურამიშვილის 54), 10 საათზე, იწყება აკრობატთა საკავშირო პირველობა, რომელშიაც ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობენ.

არდადეგები შეჯიბრების SOS პერიოდია, მაგრამ...

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები ნორჩებისთვის მხიარულების, აქტიური დასვენების, ჯანმრთელობის გაკაუების პერიოდია. სწორედ ამიტომაც, რაღა თქმა უნდა, მოზარდებს ყველაზე მეტად არდადეგების დროს სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა „ზიდავთ. ჩვენი რესპუბლიკის ასობით მოსწავლე ამ დღეებში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში არიან მიწვეულნი სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. მოძმე რესპუბლიკებიდან ჩვენთან ჩამოვიდნენ სტუმრები. ახლა ფაქტიურად ყველა სპორტული ბაზა ნორჩებს ეთმობათ, ტარდება მასობრივი ღონისძიებები.

თბილისის განათლების სამმართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ სპეციალური გეგმა შეიმუშავა. ბევრგან ეს ღონისძიებები მაღალ დონეზე იმართება, მაგალითად, 140-ე სკოლაში მიმდინარეობს კალათბურთელთა შეჯიბრება, მე-100 სკოლა ფრენბურთელებს მასპინძლობს. კალინინის რაიონში, № 1 საშუალო სკოლაში კალათბურთელები ასპარეზობენ. სამწუხაროდ, დედაქალაქის სამი რაიონის (პირველი მაისის, კალინინის, კიროვის) სკოლებში, როგორც შემოწმებით დადგინდა, დაგეგმილი შეჯიბრებები ყველგან როდი ტარდება. მაგალითად, იგივე პირველი მაისის რაიონში 4 იანვარს 24-ე სკოლაში არ შედგა ფრენბურთელთა შეჯიბრება, 134-ე სკოლაში ჩაიშალა კალათბურთელთა ასპარეზობა. კალინინის რაიონში, 42-ე სკოლაში კი პირდაპირ კურიოზი მოხდა — აქ დაგეგმილი იყო კალათბურთელთა შეჯიბრება, მაგრამ... არც ღია მოედნებზე და არც დარბაზში კალათბურთის ფარები არ აღმოჩნდა (?!) კალათბურთში შეჯიბრება ჩაიშალა აგრეთვე კიროვის რაიონში — 23-ე საშუალო სკოლაში.

საქართველოს სპორტსახეობების საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის სამმართველო.

ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება

სოფია. ბულგარეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიიღოს 1988 წლის სეულის ოლიმპიადაში და ამის შესახებ აცნობა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ბტა-ს საააგენტოს ცნობით ეს გადაწყვეტილება ბულგარელებმა მიიღეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც სოფიაში გაიმართა.

ბულგარეთის სპორტის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მისი პრეზიდენტის ხ. ა. სამარანჩის ყველა ინიციატივას, რომლებიც მიმართულია სამხრეთ კორეასა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკას შორის გონივრული შეთანხმების შიღებაზე ოლიმპიადის ერთობლივი ჩატარების საკითხში. პლენუმმა სწორედ ამ გარემოებას გაუსვა ხაზი, თანაც აღნიშნა, რომ ეს საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ინტერესებს შეესაბამება და ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

„დედა, აღმზრდელი და მე“

ამას წინათ დიდი სპორტული ზეიმი მოეწყო თბილისის 92-ე ბაგა-ბაღში (გამგე მარინა ფხალაძე, მეთოდისტი მერი ჯიქია). სპორტულ პაექრობაში პატარებთან ერთად თავიანთი ძალები მოსინჯეს აღმზრდელებმა და მშობლებმაც, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა ბაგა-ბაღის ყოველდღიური ცხოვრება. სურათებზე: სპორტული ზეიმის მომენტები.

ანატოლი მაჩიხინის ფოტო.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲘᲥᲜᲔᲑ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ

ეს წერილი ქართული ფეხბურთის დიდმა სიყვარულმა დამაწერინა, უფრო სწორად, სიყვარულმა და... გულისტკივილმა — დღეს ხომ ყველა ჩვენთაგანს ქართული ფეხბურთის ჩამორჩენა ადარდებს.

მე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ საკითხზე, რომელსაც, ჩემის აზრით, სათანადო ყურადღება არ ექცევა. მხედველობაში მაქვს საქართველოს პირველობა, შეჯიბრება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებს პერსპექტიულ ფეხბურთელებს უნდა უზრდიდეს. იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიოთ, პირველ ყოვლისა, მკვეთრად უნდა შევამციროთ საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე ვეტერან ფეხბურთელთა რიცხვი. ვაღიაროთ სიმართლე: 28-31 წლის სპორტსმენებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ ჩვენი ფეხბურთისთვის. საქართველოს პირველობა ახალგაზრდობის სარბიელად უნდა ვაქციოთ. გუნდებში მხოლოდ სამ-სამი ვეტერანი სპორტსმენი შეიძლება დავტოვოთ, თანაც ისეთები, რომლებიც სამაგალითონი არიან ახალგაზრდებისთვის.

პრობლემა სხვაც ბევრია. ამიტომ რესპუბლიკის საზოგადოებრიობა აქტიურად უნდა ჩაერთოს საფეხბურთო ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ხშირად იცვლება საქართველოს პირველობის დებულება, ფეხბურთის სამმართველო „ეფექტიანად ვერ ებრძვის კუთხური ინტერესების რეციდივებს (ხოჰ გახსოვთ: ვერ მოხერხდა ორი ფეხბურთელის გადაყვანა სამტრედიის „ლოკომოტივიდან“ ბათუმის „დინამოში“), ხშირია შეცდომები გუნდების ხელმძღვანელთა დანიშვნისას და ა. შ. ერთი სიტყვით, გასაკეთებელი ბევრია, ამიტომ ფეხბურთის სამმართველოს მეტი დაფიქრება, გამჭრიახობა, თუ გნებავთ, ვამბედაობა მართებს ჩვენი ფეხბურთის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად.

თემურ ხვინგია,
რუსთავი.

ᲙᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ

ეს წერილი, რომლის მოკლე შინაარსს ქვემოთ გაგაცნობთ, ჭიათურიდან მივიღეთ. მისი ავტორია ვეტერანი მასწავლებელი თინა ნიორაძე, მაგრამ რედაქციაში გამოგზავნილ ბარათს ხელს აწერს კიდევ... 36 მოზარდი.

წერილი ასე იწყება: „ჭიათურაში სტალინის ქუჩაზე და სხვა ახლო მდებარე ქუჩების ბავშვებს არ გააჩნიათ საკარჯიშო ადგილი. მოვითხოვეთ გამოეყოთ ფართობი კალათბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ, რომლის კეთილმოწყობას ახალგაზრდობა თავად კისრულობდა, დაგვპირდნენ, მაგრამ დაპირებას საქმე არ მოჰყვა. ამიტომ ვადაკწყვიტეთ თქვენი შეწუხება. შეუძლებელს არ ვითხოვთ, ადგილი არის, სტალინის ქუჩაზე 98-ე ბინის გვერდით, მაგრამ როგორც გვითხრეს, ახლა იქ თურმე სამრეცხაოს გადმოტანა გადაუწყვეტიათ, არადა, სამრეცხაო ძალიან ძარგ ადგილზეა. ამავე კორპუსში გახსნილია აღდგენითი მკურნალობის პუნქტი, სადაც ვარჯიშები სამკურნალო ფიზკულტურაშიც ტარდება. თუ იქვე კალათბურთის და მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილს გამოგვიყოფენ, საქმე ორმაგად მოიგებს — აქ ჯანმრთელობის ნამდვილი ცენტრი შეიქმნება. ძალიან გთხოვთ დაგვეხმაროთ“.

რედაქციისგან: ჭიათურაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა საკეთილდღეოდ. ვიმედოვნებთ, სახალხო დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომი არც ამ საკითხს დატოვებს უყურადღებოდ და პასუხს ჩვენც გვაცნობებს.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲕᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲔᲜ?

ვსწავლობთ თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში I კურსზე.

როგორც ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ჩვენთანაც ტარდება მეცადინეობები ფიზიკურ კულტურაში.

სანამ ზაფხულის და შემოდგომის თვეები იყო, ფიზკულტურა გვიტარდებოდა სტადიონზე, ღია ცის ქვეშ, ჩვენც, გოგონები, გამოვდიოდით სპორტული პიჟამოებით და ვასრულებდით ფიზკულტურის მასწავლებლის ყველა დავალებას. მაგრამ აცივდა, გადავნაცვლეთ ინსტიტუტის სპორტდარბაზში და... ფიზკულტურის მასწავლებელი კატეგორიულად მოითხოვს გოგონები მეცადინეობაზე გამოცხადდნენ მოკლე ტრუსებში, სპორტული შარვლით მასწავლებელი მეცადინეობაზე არ გვიშვებს. შემდეგ ამავე მიზეზით ჩათვლაზეც უარი გვითხრა. ჩვენ ხომ სპორტსმენები არა ვართ, გვეუხერხულება, მიუჩვევლებს, მოკლე ტრუსებში გამოსვლა.

გთხოვთ გაგვიმარტოთ რამდენად სწორია ფიზკულტურის მასწავლებლის ეს კატეგორიული მოთხოვნა და აქვს თუ არა მას ამის უფლება? შევნიშნავთ, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი არ არის ფიზკულტურის ინსტიტუტი, ხოლო ჯანმრთელობის სრულყოფისათვის, ჩვენი აზრით, მეცადინეობა სპორტულ შარვლებშიც შეიძლება.

გასაგები მიზეზების გამო არ ვასახელებთ არც უმაღლეს სასწავლებელს და არც ჩვენს გვარებს. გვეშინია, საერთოდ არ მოგვცემენ ჩათვლას.

თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის I კურსის სტუდენტები.

რედაქციისაგან: გუშინ ჩვენ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე დავრეკეთ. გვითხრეს, რომ მეცადინეობაზე სავალდებულოა სტუდენტთა გამოცხადება ერთიანი ფორმით. ცხადია, შეიძლება ბოგონების მეცადინეობა სპორტული შარვლით. ასე რომ, მასწავლებლის მოთხოვნა, ამ შემთხვევაში, უსაფუძვლოა.

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ!

თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ. მოუთმენლად მოველი „ლელოს“ ყოველი ნომრის გამოსვლას. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს სპორტი, განსაკუთრებით — ფეხბურთი. ახლა კი დიდი ინტერესით ვკითხულობ წერილებს იოგზე და მინდა მადლობა გითხრათ. იოგათი ბევრია დაინტერესებული, მაგრამ, სამწუხაროდ, სპეციალური ლიტერატურა სანთლითაა საძებარი. ასე რომ, თქვენმა წამოწყებამ დიდად გამახარა.

მერაბ ჯაბერენაია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი.

ᲓᲝᲛᲘᲜᲝ ᲗᲣ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ?!

ჩვენ თაობას კარგად ახსოვს, თუ რა პოპულარობით სარგებლობდა ფრენბურთი ჩვენს რესპუბლიკაში, ორ ძელზე გაჭიმულ ბადესთან დილიდან გვიან საღამომდე არ ცხრებოდა პაექრობა. და აი, სამოციანი წლების ბოლოს სპორტის ამ ლამაზმა სახეობამ, რატომღაც თავისი პოზიციები დათმო და ადგილი უძრავ, პენსიონერთა თავშესაქცევს „დომინოსა“ და „ჭოკერს“ დაუთმო. სათამაშო მოედნები კი ფრენველთა და პირუტყვთა სანავარდოდ ქცეულა.

ალბათ ამიტომაც არის, რომ ნამდვილი ფრენბურთელი საქართველოში დიდი ხანია აღარ გამოჩენილა. ფრენბურთი კი ნამდვილ ენთუზიასტებს ელის...

ს. ნიშნიანიძე,
ქუთაისის მინის ქარხნის მუშა.

ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲗ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲖᲔ

ძალიან გვიყვარს სპორტი, განსაკუთრებით კალათბურთი, მაგრამ სპორტის ამ სახეობაზე თქვენს გაზეთში შედარებით ცოტას წერთ. ფეხბურთელებივით ჩვენი „დინამოს“ კალათბურთელებსაც ჭირდებათ გამხნევება, ნურც მათთვის დაიშურებთ სითბოთი სავსე სიტყვებს. ისინი ხომ თავდადებით იბრძვიან ყველა მატჩში.

თბილისელი მოსწავლეები: ქეთევან კოჭლამაზაშვილი, ნინო ტაკალაშვილი, ეკა ჯანაშვილი, ნატაშა გოძიაშვილი, ზვიად ყიფიანი და სხვ.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ!

16 წელიწადია, რაც დავტოვე საქართველო. ვმუშაობდი ქუთაისში მძლეოსნობის მწვრთნელად. ვიყავი საკავშირო კატეგორიის მსაჯი, რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი მძლეოსნობაში. დღემდე ვაგრძელებ სპორტში მუშაობას.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა და საქართველოში მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებთან თანამშრომლობამ შემძინა დიდი გამოცდილება, რაც დღეს მიადგილებს მუშაობას.

შარშან დიდი სიხარული განვიცადე, როდესაც რომში, მსოფლიო ჩემპიონატზე მძლეოსნობაში, სტარტზე ვიხილე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ე. გაგუას მოსწავლეები ბ. გოცირიძე და მ. აბარაშვილი.

როგორც ქუთაისელს, დიდი სიხარული მომანიჭა რეგბისტების წარმატებამ. მიხარებს ყველა თქვენი მიღწევები როგორც სპორტში, ასევე ცხოვრების სხვა სფეროში.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ახალი წელი მიულოცოთ ქართველ ხალხს, ყველა სპორტსმენს, რომლებიც თავიანთი მიღწევებით განადიდებენ საქართველოს.

გიგზავნით 180 დოლარის ჩეკს. თანხა გთხოვთ გადარიცხოთ სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული რესპუბლიკის რაიონების დახმარების ფონდში.

დათო ეფრემაშვილი,
ისრაელი. ტელ-ავივი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 380096.
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲡ...

„ნაოსნობა საქართველოში“ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ზურაბ კუტალეიშვილის ამ მონოგრაფიის გამოქვეყნებას მოუთმენლად ველოდით. ავტორი დიდი ხანია იკვლევს ქართულ ეთნოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილ ამ საკითხს, რა ხანია დაასრულა კიდეც მასზე მუშაობა და აი, ეს საყურადღებო და საჭირო ნაშრომი როგორც იქნა დაისტამბა. მართალია, გვიან გამოიცა, თანაც ძალზე მცირე ტირაჟით, მაგრამ იმდენად აუცილებელი იყო ამ წიგნის სწორედ ახლა გამოსვლა, რომ ამას აღარავინ დაეძებს.

ნაშრომის წმინდა თეორიულ, მეცნიერულ ღირებულებაზე ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვიტყვით, ეს, მოგეხსენებათ, სპეციალისტების საქმეა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თაოსნობით ახლახან მოწყობილ ამ წიგნის განხილვისას ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა, ფილოლოგებმა და ზღვაოსნებმა მაღალი შეფასება მისცეს ზ. კუტალეიშვილის ნაშრომს. მათ ერთხმად აღიარეს, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით ნაოსნობის პრობლემა ამ ბოლო დრომდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ იყო და ავტორმა კარგად გაართვა თავი ამ ძნელ ამოცანას.

სპორტული გაზეთის მუშაკებს კი, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ამ წიგნის პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა გვაინტერესებდა, თანაც არა მხოლოდ პროფესიული ცნობისმოყვარეობის გამო. საქმე ისაა, რომ „ნაოსნობის“ გამოცემა საწყლოსნო-სანაოსნო სპორტში მიმდინარე სასიკეთო ძვრებს დაემთხვა. შარშან, წლის დამდეგს, საქართველოს სპორტსახკომმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში ნიჩბოსნობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილების მიღებას პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც მოჰყვა — გაფართოვდა და კეთილმოწყო რესპუბლიკის სპორტსახკომის ფოთის სანიჩბოსნო ბაზა, ასეთივე სამუშაოები ჩატარდება სიონისა და სხვა სანიჩბოსნო ცენტრების ბაზებზე. დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ რესპუბლიკის სპორტსახკომში კვლავ დაინიშნა მთავარი მწვრთნელი აფროსნობაში, ჩატარდა ამ სახეობის ფედერაციის პლენუმი, არჩეული იქნა პრეზიდიუმის ახალი თავმჯდომარე, დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად და ა. შ. ერთი სიტყვით, საქმე დაიძრა...

სწორედ ამ დროს გამოიცა ზ. კუტალეიშვილის „ნაოსნობა საქართველოში“, წიგნი, რომელიც იმიტომ დაიწერა, რომ ყველა ჩვენთაგანისათვის შეეხსენებინა: ჩვენს წინაპრებს წყალთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, ზღვაოსნობა მათი ყოფა-ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო.

ამიტომაცაა, რომ ავტორი, სხვა საკითხებთან ერთად, მსჯელობს ისტორიული შიდასამდინარო და სანაპირო ნაოსნობის აღდგენის, ნიჩბოსნობის და აფროსნობის მასობრიობის გაზრდის, საწყლოსნო ტურიზმისა და საკურორტო მშენებლობის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობათა შესახებ.

ზ. კუტალეიშვილის წიგნის განსახილველად შეკრებილებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა დროულად, გულიანად, ერთიანი ძალისხმევით გავისარჯოთ საქართველოში ნაოსნობის უძველესი ტრადიციების აღსადგენად, ვინაიდან დღეს ამ საქმეს დიდი ეროვნული, სახალხო-სამეურნეო, კულტურული და სპორტული მნიშვნელობა აქვს.

ირმა ენუქიძე.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

„ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲑᲣᲚᲓᲝᲖᲔᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲒᲜᲔᲜ“

„ლელოს“ გასული წლის 26 ნოემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ვაშლიჯვარის განაშენიანების პროექტირება შესრულებულია „თბილქალაქპროექტის“ მიერ ო. არველაძის ხელმძღვანელობით. დამპროექტებლებს ეთხოვათ შეიტანონ კორექტირება შიდა კვარტალური გზების პროექტში და „საქნავთობგეოფიზიკის“ ინსტიტუტის მისასვლელი გზა ნაცვლად მე-14-ა კორპუსთან გავლისა, დაპროექტდეს „ჩაიპროსის“ მისასვლელი გზის გაგრძელებით (პროექტის ავტორი ჩ. ხეჩუაშვილი).

სამმართველოს ხელმძღვანელობასთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ სპორტული მოედანი ხელუხლებელი დარჩება.

დ. ჯაფარიძე,
საბურთალოს რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘ“

მოსწავლეთა საქალაქო პირველობას — „ყველაზე სპორტული კლასი“ — წინ უსწრებს პირველი ეტაპის შიდასასკოლო შეჯიბრებები, რომლებშიც ვლინდებიან საქალაქო პირველობის მონაწილენი. შეჯიბრებები — „ყველაზე სპორტული კლასი“ — მიზნად ისახავს მძლეოსნობის მასობრიობის გაზრდას, სკოლებში მძლეოსნობის განვითარებისა და მისი მდგომარეობის შემოწმებას, პერსპექტიული მოზარდების გამოვლენას.

თვენახევარს გრძელდებოდა ასპარეზობა თელავის კომკავშირის სახელობის სტადიონზე. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის სხვადასხვა სკოლის V, VI, VII, VIII და IX კლასის მოსწავლეები. პროგრამაში იყო 60 მ-ზე რბენა და სიგრძეზე ხტომა (ჭაბუკები და გოგონები).

მეხუთეკლასელთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი წილად ხვდა მეორე საშუალო სკოლის გუნდს, მეექვსეკლასელთა შორის — მესამე სკოლის კოლექტივს. დანარჩენი პირველი ადგილები დაიკავეს პირველმა, მეშვიდე და მეცხრე სკოლების ნაკრებებმა.

ყველა შედეგის შეჯამების შემდეგ პირველი ადგილი მიეკუთვნა VII საშუალო სკოლის ნაკრებს, მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად — V და III სკოლების გუნდებს.

ალექსანდრე პაპოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი, ფოიალი ფარაულისაგან

ვალმოხდილი

ისინი პირველი თაობის ენთუზიასტები იყვნენ, თაობისა, რომელმაც ოციანი წლების დასაწყისში ქართული კალათბურთის ისტორიას ჩაუყარა საფუძველი. მთავარი მათში ალექსანდრე ჭელიძე გახლდათ. მან პირველმა ნახა ეს თამაში მოსკოვში, აღწერა, შეისწავლა წესები და თბილისში „ჩამოიტანა". გიორგი საყვარელიძემ, მიხეილ ცხვედაძემ, ბორის ვერასიმოვმა და მიხეილ დავიდოვმა ალექსანდრე ჭელიძესთან ერთად პირველი გუნდი დააარსეს და მას „სინათლე" უწოდეს. იგი დიდხანს ქართული კალათბურთის უცვლელი ფლაგმანი იყო.

მერე მეორე თაობა მოვიდა, რომელმაც ამ კარგად დაწყებული საქმის გაგრძელება იტვირთა. აი, სწორედ მეორე თაობის ენთუზიასტთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ლევ ძეკონსკისაც უკავია.

...კალათბურთის თამაში სკოლაში დავიწყე, — იგონებს იგი — 46-ე საშუალო სკოლაში, რომელიც მოგვიანებით საგზაო მშენებლობის ტექნიკუმად გადაკეთდა და რომელშიც ფიზკულტურას მიხეილ ცხვედაძე გვასწავლიდა. თავად მრავალმხრივ სპორტსმენს ერთი მტკიცე წესი ჰქონდა — მოსწავლე რომელიმე სექციაში უსათუოდ უნდა ყოფილიყო ჩაწერილი. არ ჰქონდა მნიშვნელობა რომელში. მე, ბუნებრივია, კალათბურთის ჯგუფი ვარჩიე.

ლევ ძეკონსკი არ იყო მარტო. მიხეილ ცხვედაძემ კალათბურთის სიყვარული ბევრ ახალგაზრდას ჩაუნერგა და გაუღვივა. 20-იანი წლების მიწურულს თბილისში რამდენიმე გუნდი იყო და ძეკონსკიმ ერთ-ერთი მათგანი „სოვტორგსლუჟაშჩი" აირჩია, ამ კოლექტივში უკვე თამაშობდნენ გიორგი და ოთარ ავალიშვილები, სურენ ოგანეზოვი...

30-იან წლებში უმაღლეს სასწავლებლებს შორის სპორტული მუშაობის მასშტაბებით ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზიი) გამოირჩეოდა. აქ იყო ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, ფრენბურთელთა საკმაოდ კარგი გუნდები. მწვრთნელებადაც გამოცდილი სპეციალისტები მუშაობდნენ. ძეკონსკი ინსტიტუტის კალათბურთელთა ნაკრების წევრი გახდა. სტუდენტთა კოლექტივი იმხანად სხვადასხვა საკავშირო ტურნირში თამაშობდა, უფრო ხშირად მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში. ერთი ორჯერ ჩვენი გუნდი ამ ტურნირების პრიზიორი გახდა. კოლექტივის ღირსებას ლევ ძეკონსკისთან ერთად მაშინ იცავდნენ გიორგი და ოთარ ავალიშვილები, ნიკოლოზ სტურუა, ევგენი აბაიშვილი, შემდგომში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი არჩილ კიკნაძე, სხვები და სხვები.

გასაკვირი დრო იყო: სპორტსმენები ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ, ერთმანეთს მხარში ედგნენ, ეხმარებოდნენ, საქმესაც თანაბრად ინაწილებდნენ. ფეხბურთელს, თუ საჭირო იყო და ამას კოლექტივის ინტერესები მოითხოვდა, კალათბურთის თამაში შეეძლო, კალათბურთელს — ფრენბურთისა, ფრენბურთელს — ჩოგბურთის და ასე შემდეგ. მრავალმხრივი, ყველაფრის მცოდნე და შემძლე სპორტსმენები თბილისში მაშინ ბლომად იყვნენ.

ამ თავისებურ მოდას, გატაცებას, ცხადია, არც ძეკონსკი ჩამორჩა. კალათბურთით რომ გულს იჯერებდა, მერე ფრენბურთის მოედანზე გადადიოდა და იქაც წარმატებით თამაშობდა. თან ქალთა გუნდსაც ავარჯიშებდა. მალე ამიერკავკასიის ფრენბურთელთა ნაკრების წევრი გახდა, ერთხელ საკავშირო ფესტივალში გამოვიდა, მეორედ კი კოტე ლომინაძესთან, ოთარ ავალიშვილთან, არმო თევოსიანთან, ნიკოლოზ სტურუასთან და კაკო ბოკუჩავასთან ერთად ექვსი ქალაქის საკავშირო ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

მაგრამ კალათბურთი მაინც მისი მთავარი გატაცება იყო. ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი „ნაუკად" რომ გადაკეთდა, ლევ ძეკონსკიმ პირველად მოსინჯა ძალა საკავშირო ჩემპიონატში. მერე „ლოკომოტივში" თამაშობდა. ამ გუნდმა 1938 წელს მეორე ჯგუფის კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა, მერე პირველ ჯგუფში ორჯერ პრიზიორი იყო, 1939 წელს კი ექვსი ქალაქის კალათბურთელთა სამატჩო შეხვედრაში პირველი ადგილი დაიკავა.

არა და ლევ ძეკონსკი კალათბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს უფრო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში ახსოვთ. ეს სახელოვანი კოლექტივი ომის წლებში (1942 წელს) შეიქმნა. მისი პირველი წევრები იყვნენ თავად ძეკონსკი, ნოდარ ჯორჯიკია, ბორის სარჭისოვი, მიხეილ ფილიპოვი, სურენ ოგანეზოვი, მიხეილ ერმაკოვი... არმიელმა კალათბურთელებმა ორმოციან წლებში ორჯერ (1944 და 1946 წლებში) საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. ეს იყო ქართული კალათბურთის ოქროს ხანა და მისი შემდგომი წარმატებების მთავარი საფუძველი, რომელზეც შემდგომში დინამოელთა სახელოვანი კოლექტივის გამარჯვებები აღმოცენდა.

ლევ ძეკონსკი უკვე სახელიანი მოთამაშე, კვალიფიციური და საქმეში ჩახედული მწვრთნელი იყო. მისი უშუალო ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა სამ პოპულარულ სპორტულ კოლექტივს: საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ფრენბურთელ ქალთა, თბილისის ოფიცერთა სახლის კალათბურთელ ვაჟთა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა კალათბურთელ ქალთა გუნდში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის ყველა წარმატება სწორედ იმ პერიოდში დამკვიდრებულმა მემკვიდრეობითობის მყარმა ინსტიტუტმა განაპირობა, ამ პრინციპის საფუძველთა საფუძველი ბავშვთა სპორტი იყო, სადაც კვალიფიცირებული და თავის საქმეში უანგაროდ შეყვარებული სპეციალისტები (ოთარ ავალიშვილი, სურენ ოგანეზოვი, გერონტი ბაბახანიდი) მოღვაწეობდნენ. ბავშვთა სპორტში ჩაყრილი საფუძველი ეუნარიანად და შემოქმედებითად ღვივდებოდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში. საინსტიტუტო კალათბურთი რეზერვის შემოწმების ყველაზე უტყუარ საზომად იქცა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა კოლექტივმა, რომლის სულის ჩამდგმელი დღიდან დაარსებისა სწორედ ლევ ძეკონსკი გახლდათ, ჩვენი სპორტის ისტორიაში ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა. ამ გუნდს არა ერთი საკავშირო ტურნირი მოუგია, ასზე მეტი საერთაშორისო შეხვედრა. აქ აღიზარდა ბრწყინვალე კალათბურთელთა რამდენიმე თაობა (ალისა ასიტაშვილი, დარეჯან გრიგორაშვილი, ნელი ტოტიაშვილი, ვერა გნოტოვა, ანეტა მეუნარგია, ფიალა შეპილოვა, გოჰარ გრიგორიანი, ციალა ჯანელიძე, ნელი ჯაფარიძე, ლია ქველიძე, ნათელა თინიკაშვილი, თინა საბადაშვილი, ზაირა ჯოხთაბერიძე, სვეტლანა ვარტიკოვა, ოდნავ მოგვიანებით კი მედეა სურგულაძე, ალექსანდრა რუსკინა, ვენერა მჭედლიძე, ჟანა არუთინოვა, სხვები და სხვები). ლევ ძეკონსკი ამ და ბევრი კიდევ სხვა თაობის აღმზრდელი, მედროშე და ჭკუის დამრიგებელი იყო.



კალათბურთი მისი ცხოვრების ნაწილი გახდა. ახლაც ასეა, როცა ლევ ძეკონსკის 75 წელი შეუსრულდა. მეოთხედი საუკუნე თბილისის კალათბურთის ფედერაციას ედგა სათავეში. ფორმალურად კი არა. იყო ნამდვილი ხელმძღვანელი, მისი ჭირის, დალხინების, მისი ყველა გამარჯვების ორგანიზატორი. როგორც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, არაერთხელ მოუწვევიათ დიდი შეჯიბრების (ევროპის ჩემპიონატი, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი, საკავშირო ტურნირები) სამსაჯოდ. საქმე თავისთავად ღაღადებს: სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ლევ ძეკონსკიმ ქართული კალათბურთის განვითარებას დიდი ამაგი დასდო.

ნოდარ გუგუშვილი.



მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სპარტაკიადაზე 1934 წელს ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის (ზიი) კოლექტივმა მეორე ადგილი დაიკავა. მარცხნიდან გუნდის წევრები — სურენ ოგანეზოვი, გიგლა ჭირაქაძე, ოთარ ავალიშვილი, ლევ ძეკონსკი და არჩილ კიკნაძე.

3. გრანატკინის მემორიალი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, გამოჩენილი საბჭოთა მეკარისა და საფეხბურთო მოღვაწის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. გრანატკინის საერთაშორისო ტრადიციული მემორიალი ჰაბუკ ფეხბურთელთა შორის მონაცვლეობით იმართება მოსკოვსა და ლენინგრადში.

ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ხვალ დაიწყება მოსკოვში, ცსკა-ს დახურულ მანეჟში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გუნდები. ჩვენს პირველ გუნდში გამოდიან 1969-70 წლებში დაბადებულნი, მეორეში — ერთი წლით უმცროსნი.

ტურნირი 7-15 იანვრამდე გასტანს. სასტარტო დღეს ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის პირველი და მეორე გუნდები, აგრეთვე, ჩინეთი — გფრ, საფრანგეთი. — აშშ.

სსრ კავშირის პირველ ნაკრებს ხელმძღვანელობენ მწვრთნელები ბ. იგნატიევი და ნ. ამირეჯიბი, გუნდის შემადგენლობაში გამოდიან თბილისის დინამოელები მ. კალატოზიშვილი, ო. თეთრაძე და ბ. თედეევი.

ტურნირს დაესწრებიან ფეხბურთის უცხოელი სპეციალისტები, მოსალოდნელია მათ შორის ვიხილოთ წარსული წლების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ფრანგი მ. პლატინი.

სკანდალი სკანდალს მოსდევს

პირველად რედაქციაში ასეთი მცირე ინფორმაცია მოვიდა: კუნძულ კიპროსზე, ნიკოზიაში, მიმდინარეობდა საფეხბურთო მატჩი. გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე სკანდალი მოახდინეს და დებოშმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ პოლიციის გაძლიერებულ რაზმებს ცრემლმდენი ყუმბარებით მოუხდა წესრიგის დამყარება, დაშავებული მაყურებლები საავადმყოფოში მოათავსეს.

შემდეგ მივიღეთ ამ ინციდენტის დაწვრილებითი ცნობები: 2 იანვარს ნიკოზიის „აპოელი" თავის მინდორზე შეხვდა ლიმასოლის „ეროვნულ კავშირს". მატჩის ბოლო წუთზე, როცა ანგარიში 0:0 იყო, არბიტრმა სტუმრების კარში 11-მეტრიანი დანიშნა, რამაც ლიმასოლიდან ჩამოსული გულშემატკივრების მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია, ნაწილი სათამაშო მინდორზე გადმოცვივდა, ნაწილი კი მეზობელ ტრიბუნებს შეესია. მატჩი ჩაშალა, დაზარალებულთა რაოდენობამ ოცდაათს გადააჭარბა.

ხულიგნობა მოხდა უფრო ადრეც, 1 იანვარს იტალიის ქალაქ ფლორენციაში. ადგილობრივი „ფიორენტინასი" და „რომას" მატჩის წინ დაახლოებით 3 ათასი რომაელი გულშემატკივარი სპეციალური მატარებლებით ჩამოვიდა ფლორენციაში. ხულიგნობა და ჩხუბი ჯერ კიდევ სადგურში დაიწყო, ადგილობრივმა პოლიციამ ასზე მეტი გულშემატკივარი დააპატიმრა. თვით მატჩის მსვლელობისას ინციდენტი არ მომხდარა, ვინაიდან პოლიციელებმა წინასწარ მიმართეს პრევენტულ ზომებს, გარდა ამისა, „რომას" ქომაგებს მთელი თამაშის მსვლელობაში იღებდნენ საგანგებო აპარატურით.

ეს მომხიბვლელი ჭლატინი

როგორც იტალიის გაზეთი „რეპუბლიკა" მიიჩნევს, ამ ქვეყნის ტელევიზიის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს მიშელ პლატინიზე, როგორც სპორტულ კომენტატორზე.

„საქმე ისაა, — წერს გაზეთი — რომ პლატინის განსაკუთრებული ბუნებრივი მომხიბვლელობა აქვს. იგი სავსებით არტისტულად გამოიყურებოდა მინდორზე მაშინაც კი, როცა მსაჯთან კამათობდა. ამიტომ ტელევიზიის ბოსები თვლიან, რომ პლატინი შესანიშნავად შეძლებს საზოგადოებას უსიამოვნო ამბები ამცნოს, მაყურებლებს ფრთხილად შეაპაროს ასეთი ცნობები.

ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები

უოველკვირეული გამოცემა „ფუტბოლ-ჰოკეი" ტრადიციულად აწყობს ჟურნალისტთა და მიმომხილველთა რეფერენდუმს. ყოველი წლის დასასრულს მათ უნდა დაასახელონ განვლილი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები.

ადრინდელი გამოკითხვების შედეგად, სხვადასხვა წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად სამჯერ მიიჩნიეს კიევის დინამოელი ო. ბლოხინი, ორ-ორჯერ იყვნენ პირველი ლაურეატები მოსკოვის ტორპედოელები ვ. ვორონინი, ე. სტრელცოვი და თბილისის დინამოელი რ. შენგელია, საუკეთესოთა წოდება დაამსახურეს ვ. ასტაპოვსკიმ (ცსკა), ა. ბიბამ („დინამო", კიევი), რ. დასაევმა („სპარტაკი", მოსკოვი), ა. დემიანენკომ („დინამო", კიევი), ა. ზავაროვმა („დინამო", კიევი), დ. ყიფიანმა („დინამო", თბილისი), გ. ლატოვჩენკომ („დნეპრი", დნეპროპეტროვსკი), ე. ლოვჩევმა („სპარტაკი", მოსკოვი), ვ. მუნტიანმა („დინამო", კიევი), ე. რუდაკოვმა („დინამო", კიევი), ა. შესტერნიოვმა (ცსკა), ა. ჩივაძემ („დინამო", თბილისი), ვ. სტარუხინმა („შახტიორი", დონეცკი), ფ. ჩერენკოვმა („სპარტაკი", მოსკოვი). სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი რვაჯერ კიევის „დინამოს" წარმომადგენელი იყო, ოთხ-ოთხჯერ — თბილისის დინამოელი და მოსკოვის ტორპედოელი, სამჯერ — მოსკოვის სპარტაკელი, ორჯერ — ცსკა-ს წევრი, მადგენელი და თითოჯერ — დონეცკის „შახტიორისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელები.

წლევანდელი კონკურსის თაობაზე ფეხბურთის მოყვარულები ინფორმირებული არიან: პირველი ხუთი ადგილი ასე განაწილდა: ოლეგ პროტასოვი („დნეპრი"), ალექსეი მიხაილიჩენკო („დინამო", კიევი), რინატ დასაევი („სპარტაკი"), ფედორ ჩერენკოვი („სპარტაკი"), ალექსანდრე ზავაროვი („დინამო", მოსკოვი).

საუკეთესო ფეხბურთელთა შორის ზემოჩამოთვლილთა გარდა წლეულს დასახელებული არიან: ი. დობროვოლსკი („დინამო", მოსკოვი), ა. ნარბეკოვასი („ეალგირისი"), ს. როდიონოვი („სპარტაკი"), ვ. ხიდიატულინი („სპარტაკი"), ს. ალეინიკოვი („დინამო", მინსკი), ე. იაროვენკო („ქალრათი"), ს. გოცმანოვი („დინამო", მინსკი), რ. შენგელია („დინამო", თბილისი), ა. ეიდკოვი („ნეფთჩი"), ს. ბარანაუსკასი („ეალგირისი"), ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო", მინსკი), ვ. ბესონოვი („დინამო", კიევი), ლ. ბურიაკი („მეტალისტი", ხარკოვი), ვ. გოროდოვი („დნეპრი"), ვ. ტიშჩენკო („დნეპრი"), ო. ბლოხინი („დინამო" კიევი), ა. ბუბნოვი („სპარტაკი"), ა. მოსტოვოი („სპარტაკი"), გ. ლიტოვჩენკო („დნეპრი"), ი. გავრილოვი („ლოკომოტივი", მოსკოვი), ე. დრაგუნოვი („შახტიორი"), ო. კუზნეცოვი („დინამო", კიევი), ვ. რაცი („დინამო" კიევი), ს. კუზნეცოვი („მეტალისტი"), ვ. პასულკო („სპარტაკი"), დ. ხარინა („ტორპედო", მოსკოვი).

სპორტი და გამოჩენილი ადამიანები

ლევ ტოლსტოის გაკვეთილი

„მამაჩემს“ სპორტის ყველა სახეობა უყვარდა. გასული საუკუნის ბოლოს, როცა ველოსიპედი შემოვიდა მოდაში, მამამაც შეიძინა იგი და ზამთრობით მოსკოვის დიდ მანეჟზე სეირნობდა“ — მოგვითხრობს თავის „მოგონებებში“ მწერლის უფროსი ქალიშვილი, მხატვარი და ლიტერატორი ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია.

„გასული საუკუნის ბოლოს, მაშინ, როცა ლევ ტოლსტოი უკვე სამოცდაათ წელს იყო მიტანებული, იმ ხანებში შეიძინა შვიდკილოიანი „გირეიბიც“ და კუნთების გასამაგრებლად დაიწყო ვარჯიში. მას მართლაც სპორტის ყველა სახეობა უყვარდა: „საათობით თამაშობდა ჭადრაკს“, ჩოგბურთს, კრიკეტს, „ეარგად და გაბედულად ციგურაობდა“. ოთხმოცე წელს გადაცილებული, უამინდობის დროსაც კი, ზოგჯერ დღეში ოც ვერსს გაივლიდა ცხენით და დაღლილობას არ გრძნობდა. ექიმები უშლიდნენ, მაგრამ არც დიდ მანძილზე ფეხით სიარულს ერიდებოდა. საერთოდ, თავს არ უფრთხილდებოდა და ხანდახან მძიმედ ხდებოდა ავად, მაგრამ იმდენად ნაწრთობი ორგანიზმი ჰქონდა, რომ მოხუცებულობაშიც საოცარ ამტანობას იჩენდა და ზოგჯერ მაშინაც კი ერეოდა სენს, როცა მისი გადარჩენის იმედი უკვე აღარავის ჰქონდა. სამოცდათოთხმეტი წლის ასაკში, სამი თვის განმავლობაში გადაიტანა ფილტვების ანთება, პლევრიტი, მუცლის ტიფი, დიზენტერია და მაინც ფეხზე დადგა.

„ლევმა დღეს სამი საათი აზარტულად ითამაშა ჩოგბურთი, შემდეგ ცხენით წავიდა კოზლოვკაში, რადგან ველოსიპედი გაუტყდა. დღეს საკმაოდ ბევრიც წერა. საერთოდ ახალგაზრდასავითაა, მხიარული და ჯანმრთელი“ — გადაცემით აღნიშნავს თავის „დღიურებში“ მისი მეუღლე — სოფია ანდრიას ასული ტოლსტოია.

„მამა ძლიერ ღონიერი და მარჯვე კაცი იყო და ჩვენც, შვილებიც, ფიზიკურად ძლიერები გავგზარდა... — წერს ტატიანა — განსაკუთრებით მხიარული და თავშესაქცევი იყო დილის ვარჯიში... მამას ჰქონდა ოთახი, სადაც ორ სვეტში რკინის ძელი იყო ჩასმული და ყოველ დილით მასზე ვვარჯიშობდით. ვასრულებდით შვედურ ვარჯიშსაც.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი — ითვლიდა მამა და ჩვენც პაწია კუნთებს ვძაბავდით და ხელებს წინ, განზე, მაღლა, ძირს და უკან მოწყვეტით ვისროდით“.

ტოლსტოი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ გარჯასაც.

„მამა მთელ დღეებს თავის საყვარელ უბრალო ხალხთან ატარებდა და მათ მხარდამხარ შრომობდა. მას შრომა ადამიანის მოვალეობად მიაჩნდა“ და შვილებთან ერთად ეხმარებოდა გლეხებს თიბვაში. „ეს იყო ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დღეები“ — იგონებს ტატიანა „ყოველ დილით მე და ჩემი და მხარზე ფოცხგადებულები, გლეხის ქალებთან ერთად, სათიბისკენ მივიჩქაროდით, დაცვარულ ბალახზე. მამა და ჩემი ძმები, მამაკაცებთან ერთად, დილის ოთხი საათიდან უკვე მუშაობდნენ... სახლში ბინდისას ვბრუნდებოდით“.

ტოლსტოი, თვითონ კარგი მონადირე და მხედარი, შვილებსაც ხელს უწყობდა ამაში, რომ ბავშვობიდანვე გაწაფულიყვნენ ნადირობასა და ცხენოსნობაში.

ამგვარ აღზრდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია — ბავშვები ამტანები იყვნენ. „როცა რაიმე სიცელქის გამო მოსალოდნელი იყო ჩვენი ავად გახდომა, მშვიდობით გადავრჩებოდით ხოლმე“ — ვკითხულობთ ტატიანას „მოგონებებში“. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს: „იშვიათად შევხვედრივარ ჩემსავით ღონიერ ქალს. ის კი არა და, მგონი ბევრ მამაკაცსაც დავჯაბნიდი. არავითარი ფიზიკური დატვირთვა არ მეღლიდა. პირიქით, იოლად ვძლევდი და მსიამოვნებდა. მუშობისას, ცხენოსნობისას, ეკიპაჟის ტარებისას თუ ციგურებით სრიალისას — მუდამ ძალთა სიჭარბეს ვგრძნობდი და მიხაროდა“.

ტოლსტოის ძალიან უყვარდა ცხენი. ისე მოხდენილად იჯდა უნაგირზე, მხიერელი აღტაცებული რჩებოდა. 1872-73 წლებში, როდესაც მან ზაფხული სამარის ტრამალებში, ხუტორში გაატარა, იქ მას დიდი რემა ჰყავდა და ახალი ცხენის ჯიშის გამოყვანასაც ცდილობდა, ტრამალის პატარა ცხენისა და დიდი ევროპული ჯიშის ცხენის შეჯვარებით.

ტატიანა საინტერესოდ გადმოგვცემს, როგორ მოაწყო მამამისმა დღე, იასნაია პოლიანაში დაბრუნების წინ, ბაშკირთა გასართობად და ცხენების სისწრაფის შესამოწმებლად. პრიზებიც დაუწესებია: I პრიზი — საზღვარგარეთული თოფი, II — ვერცხლის საათი, III — ბაშკირული აბრეშუმის ხალათი, აბრეშუმის თავსაფრები და ა. შ. დღის წინა დღეებში ნამდვილი სახალხო ზეიმიც გამართულა. ცის ქვეშ გაშლილ, ხალიჩებზე მჯდარი ბაშკირები კუმისს სვამდნენ, შაშს თამაშობდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ. ისმოდა აღმოსავლური საკრავების ხმა. იმართებოდა შეჯიბრებები, რომლებშიც ტოლსტოი აქტიურად მონაწილეობდა და იმარჯვებდა. დიდი წარმატება ჰქონდა შაშის თამაშშიც.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ხალხის დროსტარებისა და დღის დროს არავინ იცავდა წესრიგს, მაგრამ არც წესრიგი დარღვეულა და არც გაუგებრობა და უთანხმოება მოხდარა. „ხალხი მადლობით ეთხოვებოდა ტოლსტოის, ეს შემსგრეველი ... ...